№ 24 31 ივნვარი, ოთხშაბათი 1866—1879 31 ივნვარი, ოთხშაბათი № 24

დროება

ყოველ დღე ოთხშაბათს გარდა

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ. Въ редакцію газ. „Дроэба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფასი განცხადებისა: დიდ ასოებით ასოზე—1 კაპ., ასოზე ნაცვლოვანი ისტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცეროთი—5 კაპ., პატარათი—1 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს ფასწორის და შემოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ТИФЛИССКАЯ ГУБЕРНСКАЯ ТИПОГРАФІЯ

ამ 1879 წელს გაზეთი

„დროება"

გამოვა მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამმით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

ხელის-მოწერა

თფილისში მიიღება რედაქციაში, ბაღის ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба".*

გაზეთის ფასი

მთელის წლისა — — —	8 მან.
ექვსის თვისა — — —	5 მან.
სამის თვისა — — —	3 „
ერთის თვისა — — —	1 „

მხოლოდ ამ ვადებით შეიძლება გაზეთის დაბარება.

ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი.

განცხადება

„თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელთ მოსწავლეთა შემწეობისათვის" გამგებელის კომიტეტისაგან.

1. შკოლა საზოგადოებისა გაიხსნება მომავილ თებერვლის ექვსსა. შუადღისას პარაკლისი იქმნება. გადახდილი შკოლის სადგომში, რომელიც იმყოფება ძუკიაში აგურის ქუჩაზედ, ავჭალის ქუჩის ზეძოთ, თაქთაქიშვილის სახლებში.

სწავლა დაიწყობა თორმეტი თებერვლიდგან, ხოლო მიდება ბაშვებისა პანსიონში იწყება შკოლის გახსნის დღიდგან.

2. საზოგადოების სრული პანსიონერების ათი ეკანსიიდგან შვიდი ადგილი წილის-ყრით ერგო იმ ღარიბ ბაშვებს, რომელნიც არიან 7—8 წლისა და ოთხი თვისა.

სამი ეკანსია დარჩენილია იმ ბაშვებისათვის, რომელთაც ამ ხანზედ მომეტებულნი წლოვანობა აქვთ. მათ წილი ერგებათ გამოცდის შემდეგ, რომელმაც უნდა ამოაჩინოს, ვინ არიან მათგანი იმდენათ მომზადებულნი, რომ შკოლის უფროს განყოფილებაებში შეეძლოთ სწავლა და თავის დროზედ კურსის შესრულება. ეს წლოვანი ბაშვები, ერომელთ მიღება საზოგადოებაა ხარჯზედ ითხოვეს მათმა ნათესავებმა, უნდა მოყვანილ იქმნენ შკოლაში უთუოთ ათ თებერვლამდის.

3. ხუთი ადგილი, დინიშნული ნახევარ პანსიონერებისათვის, რომელნიც ვალდებულნი არიან შემოიტანონ თავის შესანახავად მარტო ნახევარ ფასი—ათი თუმანი წელიწადში—ამ ქამათ სრულიად დაჭერილნი არიან წილის-ყრითა.

4. იმ ოხუთმეტი ადგილიდგან. რომელნიც საზოგადოებამ დანიშნა სრული პანსიონერებისათვის მათი ხარჯით და რომელთათვის გაამწესა შემოსატან ფულათ ოცი თუმანი წელიწადში, ამ ქამათ დაჭერილია მხოლოდ ათი, და ხუთი კი ჯერ ისევ თავისუფალია მსურველთათვის.

(3—1)

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ცეტინიე, 29 ივნვარს. ჩერნოგორიელებმა დაიპირეს სპუჟი, პოდგორიცა და შაბლიაკი.

პეტერბურლის ბირჟა, 30 ივნვარს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის — —	95	75
მეორე — — — — —	94	87
მესამეში — — — —	94	87
მეოთხესი — — — —	94	87
ალმოსავლეთის პირ. —	92	60
ალმოსავლეთის მეორე —	92	12
ოქრო, ½ იმპერიალი —	8	59

თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი — — „ — „

შინაგანი 5% სესხის ბილეთები	მან.	კაპ.
პირველი სესხის — —	231	75
მეორე სესხის — — —	232	75

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — —	22—84	პენსი
ამსტერდამი — —	115—25	ცენტი
ბერლინი — —	194—25	ფენინგი
პარიკი — —	240—	„ სანტიმი
ქნიკანიის ტერასინი —	2—10	—

საქართველო

არეულობის მიზეზი აჭარა-ლივანაში

მთავრობამ გვაცნობა კიდეც, რომ აჭარა-ლივანაში არეულობის მიზეზი ორი უმთავრესი საგანი იყოვო. ერთი, რომ საზღვრების ხაზი ჩვენსა და ოსმალეთს შუა ჯერ კიდევ კარგათ არ არის გავლებულიო; მეორე, რომ ოსმალეთიდან გადმოდიან ისეთი ამაგულიანებელი კაცები. რომ ხალხს უქადაგებენო გადასახლებას.

ორივე ეს მიზეზები ყურადღების ღირსი არიან, მაგრამ, ჩვენის აზრით, ეს გარემოება იმდენათ მიზეზი არ არის, როგორც მიზეზის შედეგია. სჩანს, რომ ადგილობრივს მთავრობის მოხელე კაცებს ნამდვილი მიზეზი თვალიდან გამოპარვიათ და ამის გამო ვერ მოუხსენებიათ ის, რაც მართლაც უმაღლესი მთავრობის საცოდნელია, რომ ნამდვილი საშუალების მოხმარებით ბარემც დამშვიდდეს და შესვენება მიეცეს ყოველად გაჭირვებულს ახალ-შემოერთებულს ქვეყანას.

ჩვენი წმინდა მოვალეობა არის ამ შემთხვევაში, რაც ვიცით, არ დავფაროთ და ისეთს ტკივილზე ვუჩვენოთ, რომ ზედ წამლის დადებით გაჭირვებული ჩვენი ახალ ძმების მწუხარებაც უცბათ დასცხრეს და ჩვენს მთავრობასაც ამით მყუდროება მიეცეს.

სანამდის ჯერ კიდევ ბათუმის მაზრა და დანარჩენი ოსმალეთის საქართველო ჩაგებარდებოდა, მე ხმირად დავდიოდი ქობულეთში და ბათუმშიაც. იქ ხედავდი ბეგებს, უფროს კაცებს, სიტყვა-პასუხით, ყოფა-ქცევით, ზდილობით, კეთილი-გულით, ოპურ-მარილით ნამდვილ ქართველებს. ჩემს დანახვაზე იმათს მოღრუბლულს სახეს სინათლე გადაჰკრავდა ხოლმე. მე ვიყავი ქრისტიანი, ისინი მაჰმადიანი; მაგრამ ჩვენ მაინც ნათესაობის და ტომობის სისხლს ვგრძნობდით; ერთმანეთის ნახვა თითქო იმ ღრმა გულის ჭრილობის არჩენდა, ეს-ეც რომ მტენჯავდა და იმათაც კიდევ ერთ-ათად უფრო აწუხებდა, თითქოს იმ ერთს წუთას ეუტანელი მწუხარების ცეცხლი ორთავეს გვიჭერებოდა.

„ — ძიაგ, რას ირტყვი კაის, რა მდგომარეობაში ვიქნებით, რა დაგვემართება, როცა ჩვენც თქვენს ჭერს ქვეშ თავს შევეფარებთო?"

— კარგი, ძმაო—მეთქი—კარგი დრო

მოველისთ, განათლდებით, ერთმანეთს დაეუახლოვდებით, კარგი მეზობლობა, ძმობა გვექნება-მეთქი ერთმანეთში.

— აბა დაგემართოს, მაგი ყველა კაია—მეტყოდენ—მაგრამ, ძაან, მეგობრობა და მეზობლობა მაინც მჭადით ვერ გაგვაძღებს. აქამდი ჩვენ ამ ქვეყნის პატრონი ვიყავით. აქ, ბოღოზები სულ ჩვენი იყო, საქონელი, რაც გამოვიდოდა, შეგვეძლო ისე შემოგვეტანა, ბაჟს ვერავინ გადაგვახდევინებდა, მერე იმ საქონელს თქვენკენ გადმოვიტანდით და ბევრი სარგებლობა გვრჩებოდა; ამას გარდა, ძაან, ხედავ, დღეს ამ ქვეყანაში მუდირებიც (უჩასტკის ნაჩალნიკები)‘ კაიმაკაიამებიც (უეზდის ნაჩალნიკები), ბიმბაშებიც (მაიორები) სულ ჩვენ ვართ, დაბალი ხალხი, ძაან, სულ ასკერია (ჯარია). აქამდის ყველა სულთანის პურმარილით ვრჩებოდით, სულთანისგან ჯამაგირები გვქონდა, ამ ჩვენს ქვეყანაში ქვეყნის გამგეც ჩვენ ვიყავით და ქვეყნის დამცველიც; მაგიერათ ჩვენი ქვეყნითაც ჩვენვე გვქონდა სარგებლობა. თქვენ რომ მოხვალთ, ჩვენ მაშინ რისი მაქნისი უნდა ვიყოთ? აქ თქვენი უფროსები მოვა, თქვენი ჯარი ჩამოვა, ბოღოზებს თქვენი კაცები დაიჭერენ,—ჩვენ რაღა ვექნათ, ან თუ საქმეში აღარ ვიქნებით, ტყუილათ ვინ გვარჩენს, მჭადს ვინღა გვაჭმევს?“

ყოველ ამ კითხვებზე მე ზაფრის ქარები მივლიდა: აბა რა უნდა მეთქვა, აბა რითი უნდა მენუგეშებინა ისინი?

აი, ამ მომავალი უიმედობის ფიქრები იმათ მოსვენებას არ აძლევდათ. ოჰ, რა მოღრუბლულები დადიოდნენ, რომ იცოდე, მკითხველო.

სანამ ჩვენი ჯარები ბათუმში შეეიდოდნენ, სამი დღის წინეთ მე იქ ბათუმის მუტესარიფს (გუბერნატორს) ოსმან-ფაშას (თავდგირიძეს)—ქობულეთელს კი არა, აჭარელს თავდგირიძეს—გავეცანი. ერთს დღეს მე და ჩემი კარგი ნაცნობი ხასან-აღა ოსმან-ფაშასთან შეეიდით. ის დარბაისლურათ, ფეხმოკეცით იჯდა თავის კონახში, მუხლზე ქაღალდი ედვა და ზედ კალმით ხელს აწერდა; წინ უდგა ერთი ბათუმელი კაცი, უბრალო, ჩვენებური გლეხისთანა საწყალი. ოსმან-ფაშამ რო ხელი მოაწერა ქაღალდზე, იმ აჭარელს ხელში მისცა და უთხრა ზდილობიანათ, შენ ამ ქაღალდით მეჯლისში წადიო, იქ ვინღაც მუქბირი, (მწერალი) დაუსახელა, იმას უთხარი ჩემ მაგიერ, რომ ეს საქმე ახლ-ვე გაგიკეთოსო; იმანაც სალამი მისცა და გაშორდა; მერე მეორე მოვიდა, მერე—მესამე—სულ უბრალო სოფლელი გაჭირვებული კაცები, ყველას ფაშა ხელს უწერდა და თან შინაურს ამბებსაც ჰკითხავდა ხოლმე.

ხასან-აღამ გადმოსხედა და, თითქოს ჩემს გაკვირვებულს სახეს თვალი მოჰკრაო, უბრალო სოფლელს წაუხუმრა: „შენმა მზემ შენი გუბერნატორიც კი მიგიშვებს ეგრე თამამადო და ეგრე თავმდაბლად და ზდილობიანათ დაგიწყებსო შენს შინაურს საქმეებზე ლაპარაკს?“

„კავკაზში“ დაბეჭდილი მთავრობისაგან ნაცნობი ამბები, აი, რას მოგვითხრობენ: „ბეთის, ბვანის და მირათისხევის მცხოვრებლებმა უარი სთქვესო თაღარის გადასახადის მოცემაზე და ჰაჯი-შირინა-აღის სახლს დაეცნენო, რომელსაც მთავრობისაგან ჭონდა მონდობილი ამ თაღირის გადასახადის აწერაო.“

„ართვინის მაზრაში არეულობა პირველათ იმისგან მოხდაო, რომ მურღულის საზოგადოებაში ბურიის დრუჟინის კამანდას ნება არ მისცეს სოფელს ნაქალაქევს და ბაშკოის დაბინავებულიყვენო!...“

აჭარელმა მოსწრებით და ამოხვენეშით სიტყვა პირში მიაგება:

— ი ბეტომაც კი არ ვრჩები, ეფენდი.

მაშინ მეხასან-აღის სიტყვებიც ოხუნჯობა მეგონა, თვით ბეგების სიტყვები, იმათი შიში და მწუხარება მომავალზე სულ უსაბუთო და წარმოუდგენელი იყო ჩემთვის. თურმე კი სულ მართალი უნდა გამომდგარიყო. აბა, მე მაშინ რას მოვიფიქრებდი.

სწორედ, რომ ძალიან შესანიშნავია ამ არეულობის მიზეზი შეიტყოს კაცმა; მაგრამ ამის მიზეზი სრულებით ის კი არ არის, ვითომც ოსმალეთიდამ მქადაგებლები გადმოდიოდნენ და ხალხს აგონებდენ, ადექით, რუსის მთავრობას ნუ დაუმორჩილდებითო.

აქ უნდა დაურთოთ შემდეგი:

წარსულს ომში ყველამ ვიცით, რომ ოსმალეთის მთავრობამ მთელი აჭარისა და ბათუმის მაზრის ხალხი საომრად გამოაწვია. ორი სწლის განმავალობაში იმათ არც უხნავთ, არც უთესავთ, არც უვაჭრნიათ; ყველას თოფი ჭქონდა ხელში და გამოწვეული იყვნენ ჩვენ წინააღმდეგ. ბოლშევილი კი შინ ეყარათ უპატრონოთ. ამას გარდა, როგორც ვიცით, ოსმალეთის მთავრობა ამ ჯარს ჯამაგრს არ აძლევდა, აძლევდა მარტო ხორაგს, რომელსაც დარბევით იღებდა იმავე ხალხისგან, ართმევდა პურს, ერბოს, ზეთს და ხილს... ამისთანა ცარცვა-გლეჯისგან და უმუშაობისაგან ბათუმის მაზრის ხალხი და აჭარა-ლივანასი დაღარიბდა; დღეს ისინი სულ შიშველ-ტიტველი და მშიერ-მწყურვალნი ყრიან.

აბა, ამისთანა მდგომარეობაში ჩავარდნილს ხალხს ვინღა მოსთხოვს რაიმე გადასახადს. ის კი არა, პირ-იქით ხელის გასამართავი და შესაწევნელი იყვენ ისინი.

ამას გარდა დღეს თითქმის ყველა ბეგები, რომელნიც წინათ ოსმალეთის სამსახურში იყვენ და ჯამაგირი ეძლეოდათ, უსამსახუროთ ულუკმა-პუროდ დარჩენ.

დღეს მთელი აჭარა-ბათუმის მილიცია, რომელიც ოსმალეთის მთავრობის დროს გამოწვეული იყვენ და სახელმწიფო ხარჯით რჩებოდნენ, დათხოვნილია; იმათ მაგიერათ ჩვენი ჯარები შედიან იმათ ქვეყანაში. აჭარლები კი უსაქმოთ რჩებიან და შინ მჭადი არა აქვთ საჭმელი.

მურღულელები რომ გურულს მილიციას დაინახავდნენ თავის სოფლებში, რასაკვირველია, იტყოდნენ: ჩვენ რა დავაშავეთ, უცხო კაცებს ჯარი დაგვენებასა ჩვენ ქვეყანაში, ჩვენი ჯარი იქნებს დაყენებული, ის არა ხელობიანთ? ჯამაგირსაც ჩვენ ავიღებთ და ჩვენს ქვეყანასაც უფრო დავიცავთო, ხელმწიფის ერთგულიც უფრო ვიქნებითო! რა გასაკვირია, რომ ამის შემდეგ ისინი არეულობას მოახდენდენ და წინააღმდეგი გახდებოდენ ბურუჟი მილიციის შემოსვლაზე.

დღეს აჭარა-ბათუმის მაზრის ხალხი ძალიან გაჭირებულს მდგომარეობაშია; ამას გარდა რადგან ბეგები და იმათი მილიცია სამსახურს გარეშე დარჩენილი არიან, არ იციან, რა ქნან, თავი რითი ირჩინონ. ამისთანა გარემოებაში, რა გასაკვირველია, რომ ყოველს გაიძვერა კაცს და ცრუ-მოქადაგეს ხალხზე გავლენა ექნეს?

მაშასადამე ბათუმის მაზრის არეულობის მიზეზი გარდა ზემოდ ჩვენებულის მიზეზებისა ლუკმა-პურის უქონლობაა და ქვეყნის გაჭირებული მდგომარეობაა.

თუ გინდათ—არეულობა დაცხრეს ბათუმის მაზრაში და აჭარა-ლივანაში, ჯერ გადასახადს ნუ გამოართმევთ, გამოიყვანეთ ის მილიცია, რომელიც ოსმალეთის მთავრობის ხელში იყო და იმსახურეთ; მიეცით უწინდელ მოსამსახურე ბეგებს თავის შესაფერი თანამდებობები,—და მაშინ ნახავთ, რომ აჭარა-ლივანასი და ბათუმის ხალხი პირველი ერთგული ხალხი გახდება ჩვენი მთავრობისა...

ბ. წერეთელი

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

ქალაქის რჩევის სხდომა 29 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ.

ბუშინწინ, ორშაბათს, ქალაქის რჩევას ჰქონდეს ჩვეულებრივი სხდომა, რომელზედაც გაარჩიეს წარსულ „დროების“ ნომერში მოყვანილი საგნები. ამ საგნების შესახებ რჩევამ მიიღო შემდეგი გარდაწყვეტილება:

ქალაქის ბამგეობამ იშუამდგომლოს უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ პოლიციის შესანახავად ქალაქს, 72,000 მანეთის მაგივრად, გამოერთვას მუდამ წელიწადს 33,000 მანეთამდინ.

პირუტყვის საკლავი ადგილის ისევ ქალაქში გამართვის თაობაზედ უპრავას უარი მოსვლია დ. მ. ნამესტნიკის თანაშემწისაგან და ამის გამო რჩევამ გადაწყვიტა, რომ ამოარჩიოს ქალაქის წრეს გარეთ იმისთანა იდგილი, სადაც შეიძლებოდეს პირუტყვის საკლავი შენობის გაკეთება და იქიდამ ადვილად მოტანა ქალაქში ხორცისა.

მიხაილოვის შოსსეს რემონტის თაობაზედ, უპრავის წინადადება მიიღო რჩევამ, ე. ი. ეს რემონტი არ მიეცეს იჯარით, არამედ ისევ უპრავის ჩლენმა ითავოს, რადგან ასე უფრო იაფად დაუჯდება ქალაქსაო.

ხანგრძლივი ლაპარაკის შემდეგ, რჩევამ გადაწყვიტა, რომ პირუტყვის დაკვლის იჯარა მიეცეს წელიწადში სამი ათას თუმნად ქალაქის ხელოსნების სა-

ზოგადოებას, რომლის თავმა უფ. ანდ. ი. ᲥᲐᲠᲐᲜᲐᲫᲔᲛ უნდა წარმოუდგინოს რჩევას ვექილობა ყველა ხელოსნების ამქრებისა, რომ იმათ ჰსურსთ ეს იჯარა იკისრონ. ᲐᲛ საგანზე ტორგის დროს რამდენიმე მსურველები ყოფილან, მაგალითად ᲓᲐᲕᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ და ᲒᲠᲘᲥᲣᲠᲝᲕᲘ, რომელთაც ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡᲗᲕᲘᲡ სამიათას-ხუთასი თუმანი უძლეევიათ წელიწადში; მაგრამ რადგან ხელოსნების საზოგადოების წინადადებაში მოხსენებული იყო, რომ მოგებას ისინი ნახევარს სახელოსნო შკოლისათვის შესწირავენ და ნახევარსაც თავისთვის გადასდებენ, ამის გამო რჩევამ, უფ. ᲡᲣᲜᲓᲣᲙᲘᲐᲜᲪᲘᲡᲐ და ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲘᲡ წინადადებით, ისევ ამათ სასარგებლოდ დასტოვა ეს იჯარა.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ საგანი, რომელზედაც რჩევამ მოიღაპარაკა, იყო ᲨᲐᲠᲐᲕᲘᲡᲐᲒᲐᲜ წარდგენილი 1877 წლის ქალაქის შემოსავალ-გასავლის ანგარიში. მაგრამ ამაზე ბევრი ლაპარაკი არ ყოფილა: რჩევამ აირჩია კომისია ხუთის კაცისაგან—უ.უ. შახდინაროვისაგან, ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲘᲡᲐᲒᲐᲜ, ᲑᲐᲛᲑᲐᲠᲝᲕᲘᲡ, ᲐᲓᲔᲚᲮᲐᲜᲝᲕᲘᲡ და ᲩᲝᲚᲐᲧᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ, და ამათ მიანდო ამ ანგარიშის გაჩხრეკა და მერე რჩევისათვის მოხსენება.

*** ᲩᲕᲔᲜ გვაცნობებენ, რომ ამ თვის 26-ს ერთი მესამე კლასსის შაგირდი, გვარად ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲐ, გარდაცვლილა სემინარიაში. მიზეზი გარდაცვალებისა, როგორც დაგვარწმუნეს, იყო თურმე ცუდი საჭმელ-სასმელი. ᲐᲧᲠᲝᲚᲔᲑᲣᲚᲘ ხორცითა და გაფუჭებული, დამპალი კომბოსტოთი ხეთქენ თურმე ყმაწვილებს. ᲔᲠᲗᲘ ყმაწვილიც არ მოიძებნებაო სემინარიაში, რომ მრთელი კუჭი ჰქონდეს, ყველა ავათ ხდება ამ ცუდი საჭმლისგანაო.

მაგრამ უბედურება ეს არის თურმე, რომ ავათმყოფსაც, სანამ ფეხზე დგომა შეუძლიან, ვერ გაუბედნია საავათმყოფოში წასვლა, რადგან უფ. ᲘᲜᲡᲞᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲥᲣᲕᲨᲘᲜᲡᲙᲘ არ უშვებს და თუ გაუშვა და დაწვა, ახლა რექტორი შევა საავათმყოფოში და დაუწყებს საბრალო ავათმყოფ შაგირდს შარცხვენასა და კიცხვას, რომ ზარმაცი ხარო, სწავლა გეზარებაო და იმიტომ მოსულხარ საავათმყოფოშიო.

*** ᲖᲔᲛᲝ-ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡᲓᲐᲛ გვწერენ, რომ ამ უკანასკნელ დროს დაბა ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲐᲨᲘ ხშირად კვლენ თურმე ჭირიან საქონელს, რომელიც საჩხერიდამ და სხვა სოფლებიდამ მოჰყავთ იქაური ᲧᲐᲡᲑᲔᲑᲘᲡ; იაფად ჰყიდულობენ ავათმყოფ საქონელსაო და ამათი ხორცით ხალხს არჩენენო.

საჭიროა, რომ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ ამაზე რაიმე განკარგულება მოახდინოს.

*** ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲝᲑᲖᲝᲠᲘ“ გვაცნობებს, რომ ᲚᲔᲜ.-ᲐᲓᲘᲣᲢ. ᲒᲠᲐᲤ ᲚᲝᲠᲘᲡ-ᲛᲔᲚᲘᲥᲝᲕᲘᲡ, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, ᲐᲡᲢᲠᲐᲮᲜᲘᲡ გუბერნიაში დანიშნეს ჟამის წინააღმდეგ ზომების მისაღებად, აქედამ უხმია სხვათა შორის დოქტორი მალინინი და თავის ადრინდელი ადიუტანტი პოდპოლკოვნიკი თ. ᲗᲐᲠᲮᲐᲜᲝᲕᲘ.

ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲗᲔᲗᲘ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲛᲝᲠᲩᲔᲕᲘᲡ დროს ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ (სენატსა და ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲠᲔᲑᲐᲨᲘ) დასწრებია სულ 713 დეპუტატი; ამათში 563 თეთრი კენჭი მიულია ᲒᲠᲔᲕᲘᲡ და 99 ᲚᲔᲜᲔᲠᲐᲚ ᲨᲐᲜᲖᲘᲡ.

ᲒᲠᲔᲕᲘᲡ მოადგილეთ, ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ თავმჯდომარედ, როგორც „ᲮᲐᲚᲮᲗᲐ-ᲨᲝᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲛ“ ᲧᲠᲣᲗ გვაცნობა ამას წინეთ, ამორჩეულია ᲑᲐᲛᲑᲔᲢᲢᲐ, რომელსაც 405 ხმაში 314 თეთრი კენჭი მიუღია.

—ᲧᲕᲔᲚᲐ რესპუბლიკური გაზეთები, რომელნიც ᲒᲠᲔᲕᲘᲡ ᲐᲛᲝᲠᲩᲔᲕᲘᲡ მეორე დღეს (ე.ი. 19 იანვარს) გამოვიდნენ, დიდ კმაყოფილებას აცხადებენ ᲒᲠᲔᲕᲘᲡ ᲐᲛᲝᲠᲩᲔᲕᲘᲡ გამო; ᲑᲐᲛᲑᲔᲢᲢᲐᲡ გაზეთი „ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲗᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“, „ᲟᲣᲠᲜᲐᲚ ᲓᲔ ᲓᲔᲑᲐ“ და სხვა ყველანი ერთ-ხმად ამბობენ, რომ დღეს შემდეგ რესპუბლიკა გადარჩა განსაცდელსაო, მკვიდრ საძირკველზე დამყარდება რესპუბლიკური მმართველობა ჩვენში და საფრანგეთის ხალხს მოსვენება შეუძლიანო.

ᲒᲠᲔᲕᲘᲡ ᲐᲛᲝᲠᲩᲔᲕᲐᲡ როგორც გაზეთებიდამ სჩანს, ყველა უცხო სახელმწიფოები დაუკმაყოფილებია გარდა ᲑᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡᲐ. ᲗᲐ. ᲑᲘᲡᲛᲐᲠᲙᲘᲡ გაზეთი ამბობს, რომ შესაძლებელიაო, რომ ᲒᲠᲔᲕᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ დროს რადიკალური პარტია გაძლიერდეს საფრანგეთში და ᲐᲚᲡᲐᲡ-ᲚᲝᲢᲐᲠᲘᲜᲒᲘᲘᲡ დაბრუნება მოინდომონ ფრანცუზებმაო; ამ შემთხვევაში ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ შეიძლება ომი და შეტაკება მოხდესო.

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ

ᲜᲔᲛᲔᲜᲪᲣᲠᲘ გაზეთი „ᲞᲠᲔᲡᲡ“ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ვითომც ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲐᲜᲓᲠᲐᲡᲘᲡ გამოეცხადებინოს, რომ, თუ რუსეთმა ეადას შემდეგ კიდევ მოინდომა თავის ჯარების დაყენება ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲐᲨᲘ, ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ ამ შემთხვევაში ისე მოიქცევა, როგორც ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲝ.

ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲐ

ᲕᲘᲓᲘᲜᲘ, 4 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ. („ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ კორესპონდენცია *). ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲐᲓ გამოცხადებულია, რომ ჩვენი ჯარი ჯერ კიდევ დიდხანს დარჩება ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲐᲨᲘ. ᲐᲥᲔᲓᲐᲛ ჩვენ, რომელთაც პოლიტიკის ბევრი არ გაგვეგება-რა, ის დასკვნა გამოგვყავს, რომ საქმე ისე კარგათ არ მიდის და არც იმ წესზე, როგორც ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲰᲡᲣᲠᲓᲐ.

ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲘᲐᲨᲘ ხალხის ღელვაა და აჯანყებულთა რიცხვი თან-და-თან მატულობს; ჩვენი მხრიდამ, ე. ი. ჩრდილოეთ ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲘᲓᲐᲛ ძალიან ბევრი მიდიან იმათ რაზმში ჩასადგომად და მისაშველებელად. ᲓᲦᲔ არ გავა თითქმის, რომ 40-50 ახალგაზდა დაიარაღებული ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲔᲚᲘ არ წავიდეს [illegible] ᲑᲔᲕᲠᲘ მიდიან აგრეთვე [illegible] ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘ, რომელიც, სხვა-და-სხვა მიზეზის გამო, ჯერ კიდევ სულ არ არის რუმინიისაგან დაჭერილი. ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘ, როგორც მაგალითად რუსჩუკი, ᲕᲘᲓᲘᲜᲘ და სხვანი ხშირად უგზავნიან ხოლმე აჯანყებულებს ფულსა და სხვა შესაწირავს.

ᲐᲥ თითქმის კაცს ვერ ნახავთ, დარწმუნებული რომ არ იყოს, რომ ამ მოკლე დროში რუმელია და მაკედონიაც ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲘᲡ სამთავროს შეუერთდება. ᲐᲛᲐᲡ ამ გაზაფხულზე უეჭველად მოიღლიან.

ᲐᲛᲐᲕᲔ დროსთვის სრულიად მომზადებული იქნება ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲝ ჯარი, რომელიც ამ ქამად შესდგება 28 ქვეითა დრუჟინიდგან; თითო დრუჟინაში ათასი კაცი ითვლება; ამას გარდა არის 6 ცხენოსანი სოტნა; თითო სოტნაში 150 კაცი. ᲐᲠᲘᲡ აგრეთვე 8 ქვეითა ბატარეია; თითო ბატარეიაში 8 ზარბაზანი; ჰყავთ საპიორების როტაც და სხვ.

მაგრამ ამ ჯარს კიდევ მოუმატებენ; ამ მოკლე ხანში ახალი მოკრება იქნება მილიციონერებისა, ასე რომ, ამბობენ, ზემო-მოყვანილი ჯარის რიცხვი ერთი-ორად მოიმატებსო.

ᲡᲐᲜᲐᲛ თვითონ ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲔᲚᲔᲑᲘᲓᲒᲐᲜ გამოვიდოდნენ გამოცდილი და ნასწავლი აფიცრები, მანამ ამათ ჯარში აფიცრის ადგილები რუსის აფიცრებს უჭირავს, რომელთაც ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲘᲡ სამთავროს შემოსაელი ამ ეძლევათ კარგი ჯამაგირი.

ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲘᲡ აფიცრების მოსამზადებელად ამჟამად არის სამაგალითო დრუჟინა ᲡᲝᲤᲘᲐᲨᲘ, სადაც წრთვნიან და ამზადებენ ახალგაზდა ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲔᲚ აფიცრებს.

ᲐᲛ მოკლე ხანში ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲡ ძველ სატახტო ქალაქს ᲢᲘᲠᲜᲝᲕᲝᲨᲘ გახსნეს საკუთრივ ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ სამხედრო შკოლა, რომელშიაც ისეთივე პროგრამმა არის შემოღებული, როგორც რუსეთის იუნკრის შკოლებში.

ᲐᲛᲐᲡ გარდა რუსჩუკში იპირებენ არტილლერიის სასწავლებლის გახსნას.

ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲘᲡ მომავალ მთავრის არჩევაზე ნამდვილად ჯერ არაფერი არ იცის კაცმა. მხოლოთ ვიცით, რომ ᲡᲝᲤᲘᲐᲨᲘ არის განათლებულ და წარჩინებულ ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ შემდგარი კომისია, რომელმანც უნდა დაასახელოს კანდიდატები ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲘᲡ ტახტისათვის. ᲘᲡ კომისია თებერვლის გამლევს გამოაცხადებს საქვეყნოთ კანდიდატების სახელებს და მერე ამ სიიდამ ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲘᲡ ხალხის წარმომადგენლები ერთ-ერთს ამოარჩევენ.

მაგრამ მთავრის ამორჩევა ასე მალე არ მოხდება, რადგან, სანამ მთავარს ამოარჩევენ, საჭიროა ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ კანონები დაიწეროს (კონსტიტუცია).

„ᲨᲐᲛᲘᲡᲝᲗ, თუ ჩვენ ახლავე კანონები არ გვექნაო, მითხრა მე ერთმა განათლებულ ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲔᲚᲛᲐ, ჩვენი მომავალი მთავარი თავის ნებით, უკანონოთ

---

*) ᲘᲡ 4 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲡ ᲑᲝᲚᲒᲐᲠᲘᲘᲓᲐᲛ გამოგზავნილი წერილი ჩვენ ᲛᲘᲕᲘᲦᲔᲗ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ 28 იანვარს.

ᲠᲔᲓ.

მოინდომებს ჩვენს გამგებლობას და ადვილათ შეუძლიან დაგეჩაგროსო. როცა კანონები გვექნება, როცა იმას თავის უფლება გასაზღვრული ექნება, მაშინ სულ სხვა არისო..“

არ შეიძლება არ დაეთანხმოს ამ აზრს კაცი.

და ამ საქმის გათავებამდინ, სანამ ბოლგარიის სახელმწიფო წესები რიგიანად დადგენილი არ იქნება, მანამ ამბობენ, რუსის ჯარები აქედამ ფეხს არ მოიცვლიან; მაშასადამე უკანასკნელ ერთ წელიწადს კიდევ აპირებენ ჩვენი ჯარები აქ დარჩენას..

Д. Хоровъ.

ГАНЦХАДЕБАНИ

ერთ პირს, რომელსაც შეუსრულებია სწავლა **ПЕТЕРБУРГЪСКІЙ ПЕДАГОГИЧЕСКІЙ КУРСЪ**ში (თეორეტიული და პრაქტიკული), ჰსურს აძლიოს **ГОСПОДИНЪ**ებს (ურროკები) **ГИМНАЗІИ КУРСЪ**ის **ВСѢМ САГНЕБИ**